პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 7 აპრილი, 1944 წ. № 71 (7015). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაღინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ქვეითი ჯარისა და ცხენოსან-მექანიზებული შენაერთების სწრაფი დარტყმის შედეგად დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **რაზდელნაია** — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **ოდესის** მისადგომებზე და ამით რუმინეთში უკანდასახევი ძირითადი გზები მოუჭრეს მოწინააღმდეგის ოდესის დაჯგუფებას.

რაზდელნაიას დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **შაროხინის**, გენერალ-მაიორ **კუზნეცოვის** ჯარებმა, გენერალ-ლეიტენანტ **პლიევის** კავალერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ულანოვის** ტანკისტებმა და არტილერიის გენერალ-მაიორ **ხიტროვსკის** არტილერისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **რაზდელნაიასათვის** ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**რაზდელნაიას**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 5 აპრილს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს **რაზდელნაია**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობდნენ **რაზდელნაიას** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 5 აპრილი.

ისტორიული გამარჯვებები

სდევნიან რა ჰიტლერულ არმიებს და მათს მოკავშირე რუმინელთა არმიებს, შემტევმა წითელი არმიის ნაწილებმა რამდენიმე უბანზე გადალახეს მდინარე პრუტი და შევიდნენ რუმინეთის ტერიტორიაზე. წითელი არმიის ახალ გამარჯვებას ჰეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად ძლევამოსილი ბრძოლები მიმდინარეობს რუმინეთის ტერიტორიაზე. ჩვენმა ჯარებმა უკვე დაიკავეს რუმინეთის 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ისინი იასს მიუახლოვდნენ და გადასჭრეს იასი-დოროხოის რკინიგზა.

გერმანელთა და რუმინელთა ჯარების დევნა გრძელდება. წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრძანება მისცა შემტევს საბჭოთა ნაწილებს სდევნონ მტერი მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე. გმირი საბჭოთა მეომრები, რომელნიც აღფრთოვანებული არიან ახალ-ახალი გამარჯვებებით, გამსჭვალული არიან ერთი აზრით — გაანადგურონ მტერი, მიისწრაფვიან წინ, სძლევენ რა მტრის წინააღმდეგობას.

დაიმსხვრა ჰიტლერელთა მოკავშირეების ყოველი იმედი ფაშისტური გერმანიის გამარჯვებისა. პრუტის ნაპირებზე დაიმსხვრა მათი იმედი იმისა, რომ გერმანიის არმია შეაჩერებდა შემტევს წითელი არმიის ნაწილს.

წითელი არმიის ახალ-ახალი სახელოვანი გამარჯვებანი ბოლომდე აშკარავებენ ჰიტლერელთა გაკოტრებულ, სტრატეგიის უბადრუკ სიცრუეს „ელასტიკური თავდაცვის“, „ზეშემოზომიერი უკანდახევის“ შესახებ. ვინ დაიჯერებს ახლა, რომ ჰიტლერის გეგმაში შედიოდა ოქ. ეწარმოებინა თავისი მოკავშირის ტერიტორიაზე! არც თუ ძალიან „ელასტიკური“ გერმანელთა დამარცხებული დივიზიების სასოწარკვეთილი ცდები — თავი დააღწიონ წითელი არმიის ულმობელ დარტყმებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა გერმანელთა ზარალისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების ნადავლის შესახებ ამა წლის 4-დან 31 მარტამდე წარმოებულ ბრძოლებში გერმანელთა ჯარების ახალ მძიმე დამარცხებას მოწმობს. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის სარდლობით განდევნეს გერმანელები ასობით დიდი დასახლებული პუნქტიდან, 3.801 სხვა დასახლებული პუნქტიდან. გერმანელები განდევნილ არიან ვინიციდან, კამენეც-პოდოლსკიდან, ჩერნოვიციდან. ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაწმენდილია 41.940 კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი.

მარტის შეტევითს ოპერაციებში წითელი არმიის ნაწილებმა დაგვანახვეს განუწყვეტლივ ზრდადი ოსტატობა და უსაზღვრო მამაცობა. ჩვენი ჯარების სწრაფი შეტევის, მთელი რიგი ოსტატური მანევრების, შემოვლითი წინსვლის, მტრის ზურგში შეკრის, მისთვის ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ ძმიმე ზარალის მიყენების შედეგად მტრის არმია ორ ნაწილად არის გაჭრილი, მოკლებულია ძირითად კომუნიკაციებს. იგი მიმწყვდეულია კარპატის მთებთან. გერმანელთა ძალების სამხრეთის დაჯგუფება იძულებულია დაეყრდნოს მხოლოდ იმ გზებს, რომლებიც რუმინეთზე გადის.

სკალის რაიონში ვარშემორტყმულია გერმანელთა შვიდი ქვეითი, შვიდი სატანკო და ერთი მოტორიზებული დივიზიების ნაშთები, რომელთა საბოლოო განადგურება სწარმოებს. გერმანელებმა ტერმინი „ქვაბი“ გამოიგონეს გარშემორტყმული ჯარებისათვის. ისინი „ქვაბებს“ უმზადებდნენ წითელ არმიას. ხოლო ქვაბებში თვითონ მოექცნენ. ომის მთელი საბჭოთა ასპარეზი უზარმაზარი „ქვაბი“ აღმოჩნდა ჰიტლერელი ყაჩაღებისათვის.

წითელი არმიის დარტყმების გამო სსრ კავშირის საბჭოთა საზღვრისაკენ იხევენ მტრის შებერტყილი დივიზიების ნაშთები. მარტო ერთი თვის განმავლობაში ერთ ფრონტზე გერმანელებმა მოკლულთა და ტყვეთა სახით დაკარგეს 208.260 კაცი, დაკარგეს 2.187 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, დაკარგეს სხვადასხვა ყალიბის 4.602 ქვემეხი, დაკარგეს ათასობით ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ათეული ათასობით ავტომანქანა და საწვავი.

1941 წელს ჰიტლერელთა არმიები ვერაგულად შემოიჭრნენ საბჭოთა ტერიტორიაზე, ისინი თავით ფეხამდე შეიარაღებული იყვნენ საომარი ტექნიკით. ისინი უაღრესად მექანიზებული არმიები იყვნენ. ახლა ისინი გარბიან წითელი არმიის დარტყმების გამო, ცდილობენ თავიდან მოიშორონ მძიმე ქვემეხები, ტანკები, ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, ავტომატებსა და შაშხანებსაც კი. სტოვებენ.

დიდია გამარჯვებანი უკრაინის ფრონტის სხვა უბნებზეც. მრისხანე შურისმგებლად მიემართებიან წითელი არმიის ნაწილები დამპყრობთა წინააღმდეგ, სწმენდენ უკრაინისა და მოლდავეთის მიწა-წყალს. განთავისუფლებულია ნიკოლაევი. თავის მალე განთავისუფლებას მოელის ოდესა. ახლა ჟამი, როცა მთელი უკრაინა კიდით კიდემდე შეეგებება თავისუფალს თავის შვილებს, როცა მის ტერიტორიაზე აღარ დარჩება არც ერთი გერმანელი დამპყრობი და ყველგან გაჩაღდება სახალხო მეურნეობის დიადი აღდგენის გაცხოველებული შრომა. მაგრამ ამ ბედნიერ ჟამსაც ჩვენ არ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს სახელმწიფო საზღვარს იქით, წყეულ ჰიტლერულ გერმანიაში ჯერ კიდევ კატორღაში იტანჯებიან ჩვენი და-ძმანი, და ჩვენი სიხარული სრული არ იქნება, სანამ ისინიც არ შემოგვიერთდებიან, და სანამ მტერს სამაგიეროს არ მივუზღავთ საბჭოთა დედების მიერ დაღვრილი ცრემლებისათვის, სანამ სამაგიეროს არ მივუზღავთ გერმანელების მიერ დაღუპული მშვიდობიანი ადამიანების სისხლისათვის!

ახლოვდება ჟამი ჰიტლერელ მტარვალებზე შურისგებისა მათ მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედებისათვის. ისინი გრძნობენ ამას. მათ იციან, რომ მათთვის ხსნა არ არის. ამიტომ ისინი იბრძვიან გააფთრებული და ცოფმორეული გაბოროტებით. ამიტომ ისინი ცდილობენ ჯანსაღმოაზროვნე თავიანთი საზიზღარი არსებობა. და ჩვენ ვიცით, რომ რაც უფრო უიმედოა მათი მდგომარეობა, მით უფრო გაშმაგებული ხდება მათი წინააღმდეგობა. ჩვენ მოგველის ბრძოლები, რომლებიც ჩვენგან მოითხოვენ ყოველმხრივ გაძლიერებულ, გაორკეცებულ დახმარებას ჩვენი ფრონტისადმი, ჩვენი შრომლიური წითელი არმიისადმი. და საბჭოთა ზურგის შრომელნი წითელი არმიის გამარჯვებებს უასახელებენ თავდადებული, გმირული მუშაობით, ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებით.

წითელმა არმიამ რამდენიმე ადგილას გადალახა სახელმწიფო საზღვარი მდინარე პრუტი. იგი სახელმწიფო საზღვარს საზღვარს უახლოვდება სხვა ადგილებში. შორს აღარ არის ის დრო, როცა მთელი საბჭოთა საზღვარი რუმინეთთან სავსებით აღდგენილ იქნება. ახლოვდება ის დროც, როცა წითელი არმია შიადგება ჩვენს სახელმწიფო საზღვარს სხვა რაიონებშიც.

ერთ უბანზე ომი უკვე გადატანილია რუმინეთის ტერიტორიაზე. ეს ღირსშესანიშნავი მომენტია. იგი სამამულო ომის ახალ სტადიას მოასწავებს. ამ ისტორიულ მომენტში საბჭოთა მთავრობამ გააკეთა განცხადება. წითელი არმია მტრის ტერიტორიაზე განაგრძობს მტრის დევნას მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე.

„ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ იგი მიზნად არ ისახავს შეიძინოს რუმინეთის ტერიტორიის რაიმე ნაწილი, ანდა შესცვალოს რუმინეთის არსებული სახელმწიფოებრივი წყობილება და რომ რუმინეთის ფარგლებში საბჭოთა ჯარების შესვლა ნაკარნახევია მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო აუცილებლობით და იმით, რომ მტრის ჯარების წინააღმდეგობა გრძელდება“.

გერმანელ დამპყრობლებზე დიად გამარჯვებათა ისტორიულ დღეებში წითელი არმია იმ ამოცანების ერთგული რჩება, რომელიც მას უმაღლესმა მთავარსარდალმა დაუსახა.

„წითელი არმია არის ყველა ქვეყნის ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და მეგობრობის დაცვის არმია. იგი შექმნილია არა უცხო ქვეყნების დასაპყრობად, არამედ საბჭოთა ქვეყნის საზღვრების დასაცავად. წითელი არმია ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა ყველა ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას“. (ი. სტალინი).

1941 წლის ივნისში ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. „ამ დროიდან წითელი არმია გადაიქცა ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის არმიად, იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელთა არმიად, რასაც გერმანელი ფაშისტი არამზადები აყენებენ ჩვენს ძმებსა და დებს ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ რაიონებში“. (ი. სტალინი).

წითელი არმია, რომელიც მაღალსა და ფშიდა ამოცანებს ასრულებს ჰიტლერელ ყაჩაღთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, განაგრძობს მტრის დევნას მტრისავე ტერიტორიაზე მის განადგურებამდე და კაპიტულაციამდე.

წითელი არმიის სულ უფრო და უფრო ზრდადი ძალის დარტყმები ატყდება თავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. სულ უფრო და უფრო ახლოა მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების ბრწყინვალე ჟამი. გავაძლიეროთ გმირი წითელი არმიისადმი დახმარება საბჭოთა ადამიანების გმირული შრომით!

„პრავდის“ 5 აპრილის მოწინავე

რკინიგზის ჯრანსპორტმა 1944 წლის 1-ლი კვარტალის ჯვირთზიღვის გეგმა გაღაჭარბებით შეასრულა

საბჭოთა კავშირის რკინიგზელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ამხანაგ სტალინის 1943 წლის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებით და წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით, ასრულებენ რა ამხანაგ სტალინისადმი რკინიგზელთა მიერ გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებებს, 1-ლი კვარტალის (იანვარი, თებერვალი, მარტი) გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

მარტის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 102,8 პროცენტით, 1-ლი კვარტალის გეგმა კი — 102,6 პროცენტით.

რკინიგზელთა შორის ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ დატვირთვის აპრილის გეგმა, კიდევ უფრო უკეთესად მოემსახურონ ფრონტის საჭიროებას და დახმარება გაუწიონ ჩვენს მამაც წითელ არმიას, რომელიც საბჭოთა კავშირის დიდი მარშლის ამხანაგ სტალინის ოსტატური წინამძღოლობით წარმატებით ერეკება ჩვენი წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
5 აპრილის ოპერაციული ცნობიდან

5 აპრილის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს სკალის რაიონში გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების მოსასპობად. და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრი **სუსლენი**, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბუდეი, ბოლოგანი, გულაეშტი, ციბულევკა, იაბოლჩიკი, კარაკანოვკა, კურკინოვო, სოშე-ოსტროვსკოე.**

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, ქვეითი ჯარისა და ცხენოსან-მექანიზებული შენაერთების სწრაფი დარტყმის შედეგად დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **რაზდელნაია** — გერმანელთა დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **ოდესის** მისადგომებზე და ამით რუმინეთში უკანდასახევი ძირითადი გზები მოუჭრეს მოწინააღმდეგის ოდესის დაჯგუფებას, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები **იანოვკა, ანტონოვ-კოდინცოვო**, დიდი დასახლებული პუნქტები **პერვომაისკი, პარკანი, სტარაბაზარგი, გადენი, როსტოვცევო, ბარანოვო, ბუზნიოვო ირაკლიევკა, ლუბოკოლი, ვიზირკა, სიჩავკა, სტარიე ბელიარი** და რკინიგზის სადგურები **ბიბაევო, კუჯურგანი, კუბანკა.**

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

4 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანიანეს და მოსპეს გერმანელთა 48 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 42 თვითმფრინავი.

* * *

6 აპრილის ოპერაციული ცნობა

6 აპრილის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს სკალის დასავლეთით მდებარე რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, ავიწროებდნენ გარშემორტყმის რკალს და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები, მათ შორის **სკალა, ბორშჩოვი, მელნიცა-პოდოლსკაია, ციგანი.** ამასთან ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დაკვლა: 6 ტანკი, აეროდრომზე 29 სატრანსპორტო თვითმფრინავი, 4 ავიაგამანადგურებელი, 600 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება. ამავე დროს ქალაქ **ტარნოპოლის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს, რომლებიც ცდილობდნენ გაპრილიყვნენ თავიანთი გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად. გაფთრებული ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ოდესის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ავიოთარებდნენ შეტევას, დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი **ბროსულოვო**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **მეშჩანკა, ნოვოპეტროვკა, კოპლავსკოე, კარმანოვო, მარიანოვკა, კონსტანტინოვკა, ნოვო-ვას�ilevka, ბლაგოდეთნოე, ალექსანდროვკა, პავლინკა, ნოვაია კუბანკა, ბლაგოდატნოე, სვერდლოვო** (22 კილომეტრზე ოდესის ჩრდილო-აღმოსავლეთით) **და რკინიგზის სადგური კარპოვო** (**რაზდელნაიას** სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები.

5 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანიანეს და მოსპეს გერმანელთა 84 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 44 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ქალაქ სკალის დასავლეთით მდებარე რაიონში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად. ნ შენაერთის ნაწილებმა გერმანელებს დაარტყეს აღმოსავლეთიდან და განდევნეს ისინი დასაყრდენი პუნქტებიდან — სკალიდან, ბორშჩოვიდან, მელნიცა-პოდოლსკაიადან, ციგანიდან და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტებიდან. მოწინააღმდეგს მძიმე ზარალი მოუვიდა. მარტო დასახლებული პუნქტების ივანკოვისა და მუშკატოვკის რაიონში მოსპობილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. უკანდახევისას ჰიტლერელებს დასწვეს და ააფეთქეს ათობით ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და ბევრი ავტომანქანა.

გერმანელებს დღისით და ღამით დიდი ძალებით კონტრიერიშები მოჰქონდათ დასავლეთის მიმართულებით და ცდილობდნენ გაერღვიათ გარშემორტყმის რკალი. საბჭოთა არტილერისტები, ტანკისტები და ქვეითები ჰიტლერელებს ყველგან ცეცხლის სქელი კედლით ხვდებიან და სპობენ მოწინააღმდეგის რიგებს. ერთი ჩვენი შენაერთის ნაწილებმა მტრის კონტრიერიშების მოგერიებისას გაელიტეს გერმანელთა ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. საბჭოთა მფრინავებმა მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების განლაგების ჰაერიდან ბლოკირებისას დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 19 თვითმფრინავი. ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები გვიამბობენ, რომ უფროსი გერმანელი ოფიცრები სატრანსპორტო თვითმფრინავით მიფრინავენ გარშემორტყმის რაიონიდან.

ქალაქ ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდმა ძალებმა მთელი რიგი გააფთრებული იერიშები მოიტანეს და ცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ თავიანთი გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იგერიებენ ჰიტლერელების იერიშებს, მოსპეს ბევრი ტანკი და მოწინააღმდეგს დიდი ზარალი მიაყენეს ცოცხალი ძალის მხრივ.

* * *

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების მსვლელობაში რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. საბჭოთა ნაწილებმა ბრძოლების ორი დღის განმავლობაში გერმანელებს წაართვეს დიდი დაკვლა, მათ შორის 75 ქვემეხი, 120 ტყვიამფრქვევი, 46 პონტონი, 30 რადიოსადგური და 500-ზე მეტი ავტომანქანა. ამავე ხნის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. 6 შენაერთის მებრძოლებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, იერიშით აიღეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი ბროსულოვო. ჩვენმა ტანკისტებმა ხელთ იგდეს ორი სარკინიგზო ეშელონი ტანკებიანად და ქვეითებიანად. გააფთრებული ბრძოლები ხდებოდა ქალაქ რაზდელნაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით. გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს დიდი ძალები და ცდილობდნენ კვლავ დაეკავებინათ ეს დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი. ჩვენმა ჯარებმა კონტრიერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს ფლანგიდან დაარტყეს. გერმანელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან და ბრძოლის ველზე დასტოვეს თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბევრი გვამი. სხვა ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევდნენ წინ წვიმებისგან ატალახებული სასოფლო გზებით ზღინარე ბოლშოი კუიალნიკის გასწვრივ, გაანადგურეს ჰიტლერელთა ბატალიონი. გვარდიის შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს 20 კილომეტრით და გაელიტეს 600-ზე მეტი ჯერმანელი. მოწინააღმდეგეს წაგებიათ 17 ქვემეხი, 36 ტყვიამფრქვევი, 40 ავტომანქანა, 250 საზიდარი და ბევრი სხვადასხვა სამხედრო მასალა.

* * *

კალინინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა 12-დან 24 მარტამდე ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 18 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 9 ორთქლმავალი, 47 ვაგონი ჯარებიანად და ტვირთიანად, 18 ცისტერნი ბენზინიანად და 35 პლატფორმა ქვემეხებიანად და ავტომანქანებიანად. პარტიზანებმა აააფეთქეს 2.000-ზე მეტი რელსი, 7 ხიდი და გამოსწორეს 43 კილომეტრი კავშირგაბმულობის სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზი. ამავე ხნის განმავლობაში კალინინელმა პარტიზანებმა გაანადგურეს გერმანელთა მთელი რიგი გარნიზონები და საპოლიციო უბნები.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მთლად დაანგრიეს როვნოს ოლქის ოსტროეეცის რაიონის კოლონია და დაბა მალინი. კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია ჰიტლერელთა სანინელი ბოროტმოქმედებანი, შეადგინა აქტი, სადაც ნათქვამია: „დილაადრიან გერმანელები გარშემორტყნენ კოლონიასა და დაბა მალინს და მთელი მოსახლეობა მოედანზე მორეკეს. შემდეგ ჰიტლერელებმა მამაკაცები სკოლასა და ეკლესიაში ჩაკეტეს, ქალები და ბავშვები კი — ფარდულებში. ფაშისტმა მკვლელებმა სკოლის, ეკლესიისა და ფარდულების ხის შენობებს გარშემო ჩალა შემოაწყეს, ნავთი გადასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ქალებსა და ბავშვები ცოცხლად დაწვეს.

ფაშისტებმა ბანდიტებმა დასწვეს ავრეთვე 355 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა“.

აქტს ხელს აწერენ: სამედიცინო სამსახურის გვარდიის პოდპოლკოვნიკი ლიზუნკოვი, გვარდიის მაიორი ტიხონოვი, იუსტიციის გვარდიის კაპიტანი რუსოვი, სოფელ მალინის მცხოვრებნი — ა. გორა, პ. კაზმირუკი და სხვები.

ბრძოლები სკალის რაიონში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების გასანადგურებლად

მოქმედი არმია, 5 აპრილი (**საკადესის სპეც. კორ.**). ჩვენი ჯარები განაგრძობენ ბრძოლებს ქალაქ სკალის რაიონში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად. საბჭოთა ჯარების მეშიდრო რკალში მომწყვდეული ჰიტლერელები აქეთ-იქეთ აწყდებიან და გასასვლელს ეძებენ. ისინი ხან ერთ, ხან მეორე ადგილას გადმოდიან კონტრიერიშებზე იმ იმედით, რომ მონახონ სუსტი რგოლი ჩვენი ჯარების რკალში, რომლებიც მათ გარს არტყიან, გაიკვლიონ თუნდაც რაიმე კორიდორი გარემოცვიდან გასასვლელად. მაგრამ ამაოდ! მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში უნაყოფოა. ჩვენი მებრძოლები, გამოცდილნი არაერთგზისი ბრძოლებით, მტრის დიდ და მცირე დაჯგუფებათა გასანადგურებლად ნაცადი მეთოდებით მოქმედებენ: ისინი სოლივით იჭრებიან მოწინააღმდეგის თავდაცვაში, აქუცმაცებენ მას, სპობენ მტერს ნაწილ-ნაწილ.

3 აპრილის განმავლობაში გერმანელებმა ერთდროულად მოიტანეს რამდენიმე უბანზე კონტრიერიში ასეულიდან ბატალიონამდე ქვეითი ჯარის ჯგუფებით და ტანკების დახმარებით. ყველა კონტრიერიში მოგერიებულ იქნა. ჩვენმა სარდლობამ გამოარკვია, რომ ყველა ამ კონტრიერიშს უურადღების ასაცილებელი ხასიათი ჰქონდა, ხოლო ძირითადი ადამწყვეტი კონტრდარტყმა სხვა ადგილზე მზადდებოდა. მალე გამორკვეულ იქნა მტრის დარტყმის მთავარი მიმართულება.

ფრონტის ვიწრო ტანზე ბოლშოი-ბერეზანიდან დასავლეთისაკენ გაჭრის მიზნით ჩვენი პოზიციების მიმართულებით დაიძრა ქვეითი ჯარის დიდი ძალები და 100-მდე ტანკი. როგორც გერმანელებს ეგონათ, ქვეითი ჯარისა და ტანკების ამ მძლავრ მუშტს ერთი დარტყმით უნდა მოეხდინა გარშემორტყმის რკალის გატარნვა. კონტრიერიშზე გადმოსულ ჰიტლერელებს თავს დაატყდა ვეტლის ზვავი. გერმანელებს კოლოსალური ზარალი მოუვიდათ. მტრის გამოხდომა სრული კრახით დამთავრდა. არასრული ცნობების მიხედვით, გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს 3.000-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი, სულ მცირე 30 დაზიანებული და დამწვარი ტანკი.

მიუხედავად იმისა, რომ საფრენი ამინდი არ იყო, 3 აპრილს მთელი დღის განმავლობაში გარშემორტყმის რაიონისაკენ მოიწევდნენ გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავები საომარი მასალებით, საწვავით, სურსათით. მაგრამ მოწინააღმდეგის მხოლოდ ეოტა სატრანსპორტო თვითმფრინავმა შესძლო მიზნის მიღწევა. ჯერ კიდევ შორეულ მისადგომებზე მათ გზას ულობავდნენ ჩვენი მებრძოლები და მფრინავი-გამანადგურებლები.

ბ. ოშაროვსკი

იმედგაცრუებული ფრიცები

მოქმედი არმია, 6 აპრილი (**საკადესის სპეც. კორ.**). ამ დღეებში „იუნკერსების“ დიდი ჯგუფი ცდილობდა დაებომბა ჩვენი ერთ-ერთი სარკინიგზო კვანძი. მტრის ბომბდამშენები უკიქცეულ იქნენ მათთვის დიდი ზარალის მიყენებით. რამდენიმე გერმანელი მფრინავი ტყვედ წამოვიყვანეთ.

ობერ-ეფრეიტორი ფრანც ვიხარსი — აყლაყუდა გერმანელი, ცდილობს თავის ფალლის სათნო გამომეტყველება მისცეს და ამბობს:

— დიახ. მე ხიუსტენელი მფრინავი ფრანც ვიხარსი ვარ. ეს ჩემი პირველი საბრძოლო გაფრენა იყო. მე ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ასე ადვილ ჩამომაგდებდნენ. ჯერ დამაზიანა თქვენმა საზენიტო არტილერიამ, შემდეგ ხელი მომითავა ავიაგამანადგურებელმა. ჩემი თვითმფრინავი დაიწვა, მე კი ტყვედ დავნებდი.

მეორე ტყვე მფრინავი ჰანს გორნი, რომელსაც მოჰყავდა თავისი „იუ-87“ ობიექტისაკენ, ოცნებობდა პირველი კლასის რკინის ჯვარზე,—მეორე კლასის ჯვარი წინათ მიუღია. საბჭოთა „იაკის“ შეხვედრამ გაუცამტვერა ეს ოცნება. ავიაგამანადგურებლის პირველივე ჯერით ცეცხლი მოეკიდა გერმანელ ბომბდამშენს, და ჯორნმა სასწრაფოდ ჯახსნა პარაშუტი. ხუთი წუთის შემდეგ იგი ლუდლუდღებდა, დაინახა რა მიახლოებული მებრძოლები:

— ზერ გუტ. მე ფრიად კმაყოფილი ვარ...

იგი ლაპარაკის მოყვარულია: „ჰიტლერ კაპუტ. გერინგ კაპუტ. გერმანია კაპუტ. — ამბობს იგი.—თუ ეს ომი მალე არ დამთავრდა, ყველა გერმანელი კაპუტ“.

საინტერესოა კიდევ ერთი ტყვის. ბორტმსროლელის უნტერ-ოფიცერ ფრანც რაიტბერგერის აღიარება. მან მოასწრო 87 საბრძოლო გაფრენის მოხდენა. ჰიტლერმა მას ორივე კლასის რკინის ჯვრები უბოძა. მაგრამ ჰიტლერის ასეთმა ყურადღებამ ხელი ვერ შეუშალა რაიტბერგერს პირველ დაკითხვაზე განეცხადებინა:

— გერმანიის არმიაში ბევრს ოიტის ოდნავადაც აღარ სჯერა ჰიტლერისა. ჩვენთან დისციპლინა ეცემა. იმ დღეს, როცა ჩვენ მუსრი გაგვავლეს თქვენმა ავიაგამანადგურებლებმა, პირველმა ხუთეულმა დაარღვია ბრძანება—შესაკრები პუნქტიდან ისე, გაფრინდა, რომ არ დაელოდა, ვიდრე სხვები ჰაერში აფრინდებოდნენ. გერმანია ომს აგებს. ჩვენ ვასრულებთ დავალებებს, ვფრენთ და ვბომბავთ, მაგრამ ყველას ცუდი განწყობილება აქვს. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ცოცხალი გადავრჩი და ტყვედ ჩავვარდი.

რაიტბერგერი ამას წინათ თავის სამშობლოში, ბავარიაში ყოფილა. გზად მას ბერლინში შეუყენია.

მოქმედი არმია. საზენიტო ქვემეხების ბატარეის საცეცხლე ოცეულის მეთაური გვარდიის უფროსი ლეიტენანტი შოთა მიხეილის-ძე ჭიჭინაძე, რომელმაც ჩამოაგდო მტრის ექვსი თვითმფრინავი, მოიგერია გერმანელთა ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის რამდენიმე იერიში.

ამხ. ჭიჭინაძე დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით „მამაცობისათვის“ და „სტალინგრადის დაცვისათვის“. ფოტო ვ. ივანოვისა

პატარა ფელეტონი

ჯირილი შპრეეზე

უცნაური ხმები ისმის ახლა გერმანიის მდინარე შპრეეს ნაპირებიდან. მრავალი წლის განმავლობაში გაისმოდა იქ მხოლოდ ფანფარების ხმები, დოლის ბრახუნი, სამხედრო პარადების ხმაური და ჰორსტ ვესელის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სიმღერის —„ჟაზისტ მკვლელთა ოფიციალური ჰიმნის ომახიანი სტვენა. ჰიტლერელები ეხდიდნენ საზეიმო პარაკლისს გერმანელთა ომის პირსისხლიან ღმერთს ვოტანს, ყოველნაირად ხოტბას ასხამდნენ ადამიანის სტეულის გამგმირავ დანასა და ხიშტს.

და უცებ—ვოტანის გუშინდელმა ტრაბადურებმა... „წმიდა ლაზარეს“ გალობა წამოიწყეს! გერმანელები მშვიდობისმოყვარე ხალხია და ისინი ომისადმი გულწრფელ ზიზღს გრძნობენო. მაგრამ შესაძლოა ეს „პესიმისტების“ დუდღუნა ვოთქმა იყოს, რომელთა კისრები მოენატრა ჰიმლერის ნაჯახს? სრულიადაც არა! ბერლინის შდინარეებზე გოდება ასტეხეს თვით ჰიმლერის ვაუკაცებმა, ახსახმა შავმუნდარიანმა ჯალათმა სს-ელებმა, რომლებსაც ღილკლოებზე ნიშნად უკეთიათ თავის ქალა და ვადაჯვარედინებული ძვლები. ყმუიან სიკვდილის პროფესიონალები, გერმანიის არმიის ყველაზე უფრო თავზეხელაღებული ავაზაკები.

23 მარტს სს-ელების ორგანო „დას შვარცე კორი“ აწუწუნდა იმაზე, რომ გერმანელებს მობეზრდათ ომი.

„ყველა ჩვენგანისათვის, — სწერს მშვიდობისმოყვარე ფაშისტი, — სანატერელ ზანს წარმოადგენს მშვიდობიანობა. არა გვგონია გერმანიაში მოიძებნოს ადამიანი, რომელსაც ომი უყვარდეს და რომელსაც მშვიდობიანობა არ სწყურიოდეს“.

და შემდეგ:

„ჩვენ გვეზიზღება ომი, რადგან იგი საუკეთესო წლებს გვართმევს...“

იბადება კითხვა, ვაშ გერმანელებმა რატომ წამოიწყეს ომი და სისხლით მორწყეს ევროპა და რუსეთი? „შვარცე კორის“ მიხედვით გამოდის, რომ გერმანელები თავს დაესხნენ მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს... თავიანთი სურვილის წინააღმდეგ:

„თუ ადამიანი წყალში ჩავარდა, იგი ძალუნებურად ცურვას დაიწყებს, მაშინაც კი, თუნდაც მას სრულიად არ უყვარდეს ეს სპორტი“.

ჯერ კიდევ ამას წინათ ჰიტლერელები მხიარული ფრუტუნით ცურავდნენ სისხლის ტალღებზე. ახლა კი ეს „სპორტი“ მათ უკვე აღარ მოსწონთ. ამ ბუნების საწინააღმდეგო გარდაქმნის ახსნას ჩვენ ვპოულობთ სტატიის შემდეგს ამბავში:

„ომის მეხუთე წელს ჩვენთვის ხანდახან ძნელია დადებითად მოეპყრათ ომს. მრავლდება დაღუპულთა საფლავები. სიკვდილი ეპარება თითოეულ ჩვენგანს. ქალაქები ნანგრევებად იქცევა. ომი ყველგან კვალდაკვალ მოგვდევს. თითოეული ჩვენგანისათვის დგება სისულტის მომენტები, როცა გსურს სდმე დაემალო ომს. მაგრამ სად?“

სანამ ჰიტლერელები თვითონ ამრავლებდნენ მათ მიერ დაღუპული სხვა ხალხთა ვაჟებისა და ქალიშვილების საფლავებს, სანამ ჰიტლერელები თვითონ აქცევდნენ ნანგრევებად სხვის ქალაქებს და თვითონ კვალდაკვალ სდევნიდნენ მილიონობით უიარაღო ადამიანებს, — ომი მათ მოსწონდათ, და სს-ელთა ყრონტები ხოტბას ასხამდნენ სისხლისმღვრელ სასაკლაოს. ახლა კი, როცა დამსჯელი ხელი უკაკუნებს გერმანიის კარებს, სწორედ ამ მოკალულ ყრონტებში ხრიალებს ფაშისეელური ქვითინი.

არა გვგონია ასეთმა გულუბრყვილო მასკარადმა შესძლოს ეისმე მოტყუება. მტრალი სს-ელი, რომელიც ომს სწყევლის, ეს ხომ ისეთივე დაუჯერებელი სანახაობაა, როგორც ჰიმლერი, რომელიც გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ!

ჩვენ ვიცით, საიდან გაჩნდა სინესტე მდინარე შპრეეზე მოტირალთა უსიერცხვილო თვალებში. ეს შხეფებია მდინარე პრუტიდან.

რ. მორანი

„კრასნაია ზვეზდა“.

საღამო უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალად ჰყავს სამამულო ომის მონაწილე სტუდენტი. ბევრ მათგანს მკერდს უმშვენებს საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდო—ორდენი და მედალი. ამას წინათ უნივერსიტეტში გაიმართა ამ სტუდენტებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც დაესწრო დიდძალი სტუდენტობა, პროფესორ-მასწავლებლები და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ბაჭრაძე, პროფ. გ. გოზალიშვილი, დოც. გ. ობზანიძე, კაპიტანი შმაინი, ასპირანტი კ. ფალავა და სხვ. უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ ერთ-ერთი ფრონტის სარდლობის დავალებით მაღალი ჯილდო—წითელი ვარსკვლავის ორდენი გადასცა სამამულო ომის მონაწილე სტუდენტს ამხ. შოთა მისაბიშვილს. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ორდენოსანმა და მედალოსანმა სტუდენტებმა ა. გიორგაძემ, გ. ჯაჭვაძემ, გ. გონაშვილმა, ი. მესხიშვილმა.

საღამომ დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა.

ახალი მხატვრული ფილმი

კინემატოგრაფის საქმეთა კომიტეტში მოხდა განხილვა ახალი მხატვრული ფილმისა „მარტი-აპრილი“, რომელიც დადგმულია ვ. კოტეფნიკოვის იმავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

ფილმში ნაჩვენებია მტრის ზურგში მოქმედი პარაშუტისტების თავდადებული მუშაობა. ბახლობელ დღეებში ფილმს უჩვენებენ ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე. (საკადესი).

სასახელო შრომის დღიური

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

150.000 მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას პირობა დასდეს აპრილის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ფრონტსა და ქვეყანას მისცენ 150.000 მანეთის პროდუქცია და შესამჩნევად გაუმჯობესონ ხარისხი. საპირველმაისო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ფაბრიკაში უკვე განახორციელეს რამდენიმე რაციონალიზატორული და ტექნოლოგიური ღონისძიება.

სამი საქსოვი კომპლექტი გადაყვანილია სამცვლიან მუშაობაზე. თითო ცვლაში მქსოველები ამჟამად მუშაობენ 8 საათს, მათი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, ხოლო დანადგარების გაცდენა დღეღამეში 3-საათნახევრით შემცირდა. მაუდის საამქროში შემოიღეს მემონტაჟე-მუშენდავების განუწყვეტელი მორიგეობა, მათი მოვალეობაა უზრუნველყონ მანქანა-დანადგართა შეუფერხებელი მუშაობა. ამ ღონისძიების განხორციელებამ გამოიწვია მანქანათა წარმადობის ზრდა.

ვინაიდან ქსოვისას ძაფი წყდებოდა და ეს გავლენას ახდენდა ხარისხზე, ფაბრიკაში მომუშავე სპეციალისტებმა ინჟინერ ს. იაკობაშვილის ხელმძღვანელობით განახორციელეს ორი ახალი რაციონალიზატორული ღონისძიება. ამის შედეგად ახლა ძაფის გაწყვეტის შემთხვევები იშვიათია.

აპრილის განვლილი დღეები გვიჩვენებენ, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მაუდელები წარმატებით შეასრულებენ საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

აპრილი კარგად დაიწყეს

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშათა კოლექტივი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშათა კოლექტივთან, წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული, საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის ზევით სახელმწიფოს 859 კილოგრამი გრეჟა ჩაბარა.

საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დიდ წარმატებებს აღწევს მედალოსანი ჰ. ჭელიძე, რომელიც სამ დაზგას უწევს მომსახურებას და გამომუშავების დღიურ ნორმებს 370 პროცენტით ასრულებს. საწარმოო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ორდაჯილოსანი თ. ჩიხლაძე, ე. ფურცხვანიძე და წარმოებაში ახალმოსული მუშები ჩარგეიშელი, გორაძე და სხვ.

კ. ცაცუა

მკერავები ანაღდებენ დაპირებას

თბილისის პირველი სამკერავალო ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. გრ. გაბუნია, პარტბიუროს მდივანი ამხ. ქ. აფაქიძე) მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის საწარმოო დავალება და ასევე წარმატებით განაგრძობს მუშაობას აპრილში. ფაბრიკის მუშათა კოლექტივი მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მიმართვის საპასუხოდ ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ იკისრა: აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულოს 107 პროცენტით, მოცემულ სტანდარტთან შედარებით 3 პროცენტით გაუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი და საგრძნობლად შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება; აპრილის განმავლობაში I მაისისათვის გასწიოს 3.000 მეტრი ქსოვილის ეკონომია და აქედან გეგმის გადამეტებით შეჰკეროს და გამოუშვას 350 კომპლექტი ტანსაცმელი. ასეთია პირველი სამკერავლო ფაბრიკის კოლექტივის დაპირება.

ფაბრიკის მოწინავე სტახანოველმა მედალოსანმა ვ. ოლჭიაშვილმა აპრილის გეგმის 250 პროცენტით შესრულება იკისრა. ამ ვალდებულებას იგი წარმატებით ანაღდებს. კოჰკავშირელები ა. ოგანეზოვა, მ. გოგოლაშვილი და მ. დიადიჩენკო აპრილის პირველ ხუთდღიურში დღიურ საწარმოო დავალებებს 190-250 პროცენტით ასრულებდნენ. ასევე წარმატებით მუშაობენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები, სტახანოველები ამხ. თ. ხიჩიკაშვილი, მ. ხუციშვილი, ს. კურატაშვილი, მ. შალუხოვა, თ. ნონიეკა და სხვ., რომლებიც საქმით ანაღდებენ საპირველმაისოდ ნაკისრ ვალდებულებებს და დღიურ საწარმოო გეგმებს 250-425 პროცენტით ასრულებენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

შესდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების XV სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ახალ ნაშრომთა განხილვას.

სესიამ დიდი ინტერესით მოისმინა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის მოხსენება — „ორგანიზმზე ჰაერის კვეთებითი ტალღის გავლენის ხასიათი ადამიანებზე დაკვირვებათა და ცხოველებზე ჩატარებულ ცდათა მიხედვით“. მომხსენებელმა ილustრაცია იქ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალფეროვან ცდებზე, რომლებსაც ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი ცოცხალ ორგანიზმზე ჰაერის კვეთებითი ტალღის გავლენის ხასიათის შესწავლისას.

დასასრულ ი. ს. ბერიტაშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკვლევი მუშაობა მისი უშუალო პონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ჩაატარეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორ მა პ. ა. ქომეთიანმა (ბიოქიმიური გამოკვლევები), ა. დ. ზუტაბაშვილმა (ნეგროჰისტოლოგიური გამოკვლევები), ა. ნ. ბრეგაძემ (ცხოველთა ქცევის გამოკვლევა), დოც. ა. ნ. ბაკურაძემ (ვეგეტატიური ორგანოების ფიზიოლოგიური გამოკვლევები), ს. პ. ნარიკაშვილმა (ნერვულ-კუნთური სისტემის ფიზიოლოგიური გამოკვლევები), ნ. ნ. ძიძიშვილმა (ოსცილოგრაფიული გამოკვლევა). გარდა ამისა ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ დოცენტები ა. ს. ლეკავა (ჰისტოლოგი), ე. ლ. ანდრონიკაშვილი (ფიზიკოსი) და ა. ვ. ჯორბენაძე (პათოლოგანატომი).

სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები პ. ქომეთიანი („ჰაერის კვეთებითი ტალღის გავლენა სისხლისა და ლიქვორის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე“), ა. ბრეგაძე („ჰაერის კვეთებითი ტალღის გავლენა ცხოველთა ინდივიდურ ქცევაზე“), დოცენტები ე. ანდრონიკაშვილი („ჰაერის კვეთებითი ტალღის წნევის ცვლილებანი სხვადასხვა სისტემაში გავრცელების დროს“), ა. ჯორბენაძე („მაკრომორფოლოგიური ცვლილებები ცხოველთა ორგანიზმში ჰაერის კვეთებითი ტალღის ზეგავლენით“), ა. ლეკავა („ჰისტოლოგიური ცვლილებები ცხოველის ორგანოებში ჰაერის კვეთებითი ტალღის ზეგავლენით“), ა. ბაკურაძე („ცხოველის ორგანიზმში ჰაერის კვეთებითი ტალღით გამოწვეულ ზოგიერთ ფუნქციონალურ ცვლილებათა ექსპერიმენტული შესწავლა“), ს. ნარიკაშვილი („ჰაერის კვეთებითი ტალღის გავლენა კუნთისა და ნერვული სისტემის აგზნებადობაზე“) და ნ. ძიძიშვილი („ადამიანის თავის ტვინის ელექტრული აქტივობა ჰაერის კვეთებითი ტალღით დაზიანების შემდეგ“).

მოხსენებათა გარშემო გამართულ აზრთა ვაჟცალა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიკოსმა გ. მუხაძემ, პროფესორებმა ს. ყიფშიძემ, ვ. ვორონინმა, მახვილაძემ, გოცირიძემ, ბ. კანდელაკმა, დ. გედევანიშვილმა და სადოვსკიმ. მოკამათეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა საკვლევო მუშაობის დიდი მნიშვნელობა. მათი აზრით, გამოკვლევების შედეგები საშუალებას იძლევიან უფრო ახლოს მივუდგეთ კონტუზიის მოვლენათა შესწავლას. ცდებით მიღებული დასკვნები ცხადჰყოფენ ღრმა ფუნქციონალურ მოშლილობასა და სტრუქტურულ ცვლილებებს ცხოველთა და ადამიანთა მრავალ ორგანოებში. ამრიგად ბათილდება წინათ არსებული აზრი მარტო ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების შესახებ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მნიშვნელოვანი გამარჯვებაა აგრეთვე კონტუზებულთა მკურნალობის მთელი რიგი ეფექტური მეთოდების შემუშავება.

სესია დამთავრდა აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის საბოლოო სიტყვით. რომელშიც მან აღნიშნა, რომ საჭიროა ამ პრობლემის შემდგომი შესწავლა და უფრო ფართო კლინიკური დაკვირვებანი.

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსაგზადისათვის

ვინ რა ვალდებულება იკისრა

ზესტაფონის რაიონი

კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მახარაძელთა მოწოდების პასუხად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შემდეგი ვალდებულებანი იკისრეს:

საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ I მაისამდე, ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღონ 11,5 ცენტნერი სიმინდი, 55 ცენტნერი ყურძენი;

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი;

თითოეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე მიიღონ 45 კილოგრამი პარკი;

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავზე.

ცხინვალის რაიონი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა მახარაძელთა პატრიოტული ინიციატივის პასუხად იკისრეს: წელს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდისათვის დასთესონ 100 ჰექტარი სიმინდი, ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 12 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშან მიღებული 7,6 ცენტნერისა, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 150.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი;

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 15 პროცენტის გადაჭარბებით, საწვავ-საცხები მასალა დაზოგონ 10 პროცენტის რაოდენობით, თითოეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით;

ვადამდე შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის გეგმა, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, I აგვისტომდე შეასრულონ ხორცის, ყველის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების გეგმა.

წყალტუბოს რაიონი

სოფელ მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადასწყვიტეს გეგმის გადამეტებით დასთესონ 16 ჰექტარი სიმინდი, სახელმწიფოს ჩააბარონ 5 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე მიიღონ 60 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 კილოგრამისა. ბრიგადირმა ლ. ტყეშელაშვილმა იკისრა დასთესოს 3 ჰექტარით მეტი სიმინდი, ვიდრე დავალება აქვს მიცემული, კარგად მოუაროს ნათესებს. მეაბრეშუმე თამარ ტყეშელაშვილმა პირობა დასდო, რომ ნახევარ კოლოფ თესლზე მიიღებს 40 კილოგრამ აბრეშუმის პარკს.

სოფელ გვიშტიბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს მოჭრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ გეგმის გადამეტებით 30 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, თესვა დაამთავრონ 15 აპრილისათვის, მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა სახის მიხედვით შეასრულონ 1 მაისამდე.

დუშეთის რაიონი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა იკისრეს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა სახის პირუტყვის მიხედვით შეასრულონ 1 ოქტომბრამდე, ყოველ 100 სულ დედაცხვარზე გამოზარდონ 94 ბატკანი, 100 ძროხისა და ფურკამეჩზე 85 ხბო და ზაკი, 1 ოქტომბრამდე ააშენონ 20 ბოსელი;

საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ ვადაზე 10 დღით ადრე და აგროტექნიკურ ღონისძიებათა მტკიცედ დაცვით, მოიყვანონ ჰექტარზე საშუალოდ 8,5 ცენტნერი მარცვლეული კულტურები, 11 ცენტნერი სიმინდი და 80 ცენტნერი კარტოფილი.

ხობის რაიონი

კოლმეურნეთა ვალდებულებანი ასეთია: სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღონ 1.100 კილოგრამი მწვანე ფოთოლი და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 21.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ჰექტარზე მიიღონ 16 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშან მიღებული 8 ცენტნერისა, სახელმწიფოს ჩააბარონ გეგმის გადამეტებით 20 ტონა დფნის პირველხარისხოვანი ფოთოლი;

თითოეულ მეწველ ძროხაზე შარშანდელთან შედარებით წველადობა გაადიდონ 15 პროცენტით, ნამატი მთლიანად შეინარჩუნონ;

თითოეულ კოლოფ აბრეშუმის თესლზე მიიღონ 40 კილოგრამი პარკი;

ჰიტლერელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს ძმური დახმარების სახით გაუგზავნონ 180 სული სანაშენო მსხვილფეხა რქიანი საქონელი.

კლუხორში დაიწყო ხვნა

კლუხორი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). უკანასკნელი კვირის განმავლობაში კლუხორის რაიონში მასობრივად გაჩაღდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. რაიონის დაბლობ ადგილებში უკვე ამთავრებენ ხვნას.

ამ დღეებში დაიწყო ხვნა კლუხორის რაიონის მთიან ადგილებშიც—სოფელ კარჯიუტში, ქვემო და ზემო უჩკულანში და ხურზუკში. სოფელ უჩკულანში გამოყოფილია ცალკე საცდელი ფართობი, სადაც წელს სთესენ დიკას. სპეციალისტ ნიადაგმცოდნეობისა და აგრონომების დასკვნით, ხორბლეულის ეს ჯიში აქ მაღალ მოსავალს მოგვცემს. დიკის დასათესი საცდელი ფართობის ხვნა უკვე დამთავრებულია. აქვე გამოყოფილია ცალკე ფართობი ბოსტნეულის კულტურებისათვის.

კარგად ხელმძღვანელობენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს სოფელ უჩკულანში—ამხ. აკ. მშვენიერაძე, სოფელ ხურზუკში ამხ. ა. სოხაძე და სოფელ კარჯიუტში ამხ. კალადენკო და ვ. კრავჩენკო. წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე კარტოფილის დასათესი ფართობების დამუშავება. კარტოფილის სათესლე მასალა უკვე შერჩეული და გამზადებული აქვთ.

დ. ლომთაძე

დაუძლურებული ხარებით გეგმები ვერ შესრულდება

წალენჯიხა („კომუნისტის“ სპეც. კორ.). საგაზაფხულო თესვას წალენჯიხის რაიონში მომზადებული ხვდებიან. ხვნაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოფელ ფახულანის სტალინისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობები. აგრეთვე სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის, წალენჯიხის ბერიას სახელობის, ჯგალის კვიაცხელიოს სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, სადაც თავმჯდომარეა კ. ხასაია, წელს ითვისებს 120 ჰექტარ ახალ მიწას, შარშანდელზე გადამეტებით სთესავს მარცვლეულ და სხვა კულტურებს. საგაზაფხულო სამუშაოთა ნორმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ კოლმეურნეები ც. შონია, ა. გერგედავა, რ. გოჩუა, ს. შონია, ი. გერგედავა და სხვ.

სოფელ ფახულანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორდენოსანი ა. ჭითანავა) უკვე ათვისებულია 70 ჰექტარი ახალი მიწა. 17 კილომეტრზე გაყვანილია ახალი ღობე. შარშანდელზე გადამეტებით ითესება 20 ჰექტარამდე მარცვლეული. კოლმეურნეობა გეგმის გარეშე 6 ჰექტარზე სთესავს კარტოფილს, ღომს, რგავს თამბაქოს. კოლმეურნეებმა ფრონტელთა ყველა ოჯახს მოუხნეს საკარმიდამო ფართობები, მოუმზადეს თესლი. კოლმეურნეობაში განსაკუთრებით მოწინავეობით მუშაობენ სტახანოველები მაქსიმე გუჩუა, არჩილ, რომანოზ, გიორგი და მარა გოგოხიები, მერგოლური ილო გოგოხია და სხვ.

რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში ჩამორჩენაც არის. საგაზაფხულო ხვნა-თესვაში ყველგან მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული საკვები საკმაო აქვთ, სოფელ ტტუ მიქავას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამბაკო ლემონჯავა) დაუძლურებულია 5 უღელი ხარი, სოფელ ლიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კი (ყოფ. თავმჯდომარე ევგენი ზარანდია) — 10 უღელი ხარი. დასუსტებულ მუშასაქონელს ვხვდებით სხვა კოლმეურნეობებშიც. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს ხვნის გაჭიანურების ფაქტებს.

მაღალი მოსავლის მიღების ბედი ძირითადად ახლა წყდება. მიეცოთ გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ტრ. თოდრაძე

ლაგოდეხის რაიონის სოფელ თამარიანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გიგა ზურაბაშვილი ჩვიდმეტი შვილის მამაა, მისი ექვსი ვაჟკაცი სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. გ. ზურაბაშვილი 75 წლის მოხუცია, იგი ბეჯითად მუშაობს კოლმეურნეობაში. შარშან 544 შრომადღე გამოიმუშავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მომგებიანი ანაბრების მესამე ჯირაჟი

5 აპრილს თბილისში, სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში შესდგა საქართველოს სსრ შემნახველი სალაროების მომგებიანი ანაბრების მესამე ტირაჟის მოგებათა გათამაშება, რასაც დიდძალი მშრომელი დაესწრო. ტირაჟის გათამაშებას დაესწრნენ — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. კ. ციმბაურიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. დ. მუდლიშვილი, საქართველოს სსრ შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს უფროსი ამხ. ა. პეტროსიანი და საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ტირაჟის ჩატარების წესისა და ტექნიკის შესახებ განმარტებით გამოვიდა შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ოპერატიული განყოფილების გამგე ამხ. ა. შტეინბერგი. ამის შემდეგ დაიწყო მოგებათა გათამაშება.

ტირაჟის შემდეგ გაიმართა კონცერტი. მოგებათა ცხრილი გამოქვეყნდება.

პოემა „ძლევის ქედისადმი“ მიძღვნილი საღამო

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი 7 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) აწყობს პოეტ გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედისადმი“ მიძღვნილ საღამოს. მოხსენებას — გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“—წაიკითხავს ამხ. დ. ბენაშვილი. საღამოს მხატვრულ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა მწერლები, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობები და სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები.

მოხსენება

9 აპრილს, დღეს I საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სხდომათა დარბაზში (კეცხოველის ქ. № 11) პროფ. ათაბეგოვი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „მეორე მსოფლიო ომი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები“. დასწრება თავისუფალია.

სემინარი

7 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) მოწვეულია ძირეული ბრესის მუშაკთა სემინარის პირველი მეცადინეობა თემაზე „ლენინი და სტალინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“.

კონსულტაცია

7 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ამბანაგ **სტალინის** წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა და პროპაგანდისტთათვის. კონსულტაციას ჩაატარებენ ამხ. ტატიშვილი (ქართულ ენაზე) და ამხ. ნოლანისი (რუსულ ენაზე).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

7 აპრილს: სახელმწიფო ოპერა — „ჯამბაზები“, და „ვალპურგის ღამე“. რუსთაველის სახელობის — „სამშობლო“. მარჯანიშვილის სახელობის — „კოლმეურნის ქორწინება“. გრიბოედოვის სახელობის — „საგანგებო კანონი“. ახუნდოვის სახელობის — „ბაშდი იბადე“. მუსკომედიის — „ოლიმპინა“. მოზარდ მაყურებლის — ქართული — „გაიდარი“.

კინოებში

7 აპრილს: რუსთაველი — „ციირკი“. ოქტომბერი — „ცისარტყელა“. დამკვრელი — „ჟამბუკი ჩვენი ქალაქიდან“. კომკავშირელი — „ნასრედინი ბუხარაში“. სპარტაკი — „მხიარული ქალი“. ლუქსემბურგის სახელობის — „მაშენკა“. 26 კომისრის სახელობის — „ცისარტყელა“.

შშობლები გიორგი, ელენე, ცოლი ლუბა, შვილი ბადრი, და ნუცა, ძმა მარდარი ცოლ-შვილით, სიძე ს. ყღინტი იუწყებიან **გურგენ ჭილაძის** გარდაცვალებას. 424

დედა ფოსინე, მამიდები ნადია, ელენე, ბიძა მიხეილ შვილებით იუწყებიან **მარიკა საყვარელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8/IV, 7 ს. გამოსვენება 9/IV, 2 ს. შირაქის, 18. 425

შვილები ნინუცა, ელენე, კოწია, სანდრო, ვანეკო, მიშიკო, ვასიკო, სიმონ ცოლ-შვილით იუწყებიან **იორამ გოგოლაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 4 ს. ქ. მესხის ჩიხი, 16. 426

„საქნავთის“ მუშათა მომარაგების განყოფილება იუწყება გიორგი ცომაიას ძმისწულის **ლუბა ცომაიას** გარდაცვალებას. 422

შვილები თამარ, დარეჯან, ქეთინა, გიორგი, ანტონ, სევერიანე, ალექსანდრე, ვლადიმერ ოჯახებით იუწყებიან **მარიამ თაყაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 2 ს. ვარკეთილის, 16. 430

შშობლები თედორე, მინიკო, და ჩიტო იუწყებიან **ელენე გოგრიჩიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ბათუმში 9/IV. 427

ბაშა, თინა ჩინჩარაძეები შვილებით, ქეთო ჩხენკელი იუწყებიან **აკაკი (უკა) ჩხენკელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 3 ს. პლეხანოვის ხიხი, 1. 431

ლეგა თეო, და, ბებია, ბაბუა, ბიძა, ბიძიდები იუწყებიან **გურამ ხუციშვილის** გარდაც